

გრიგოლ ნოსელის აპოკატასტასისის თეორია და მისი ქართული
თარგმანება

ნინო დათაშვილი



*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრული პროფესორი თამაზ კოჭლამაზაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო დათაშვილი

ხელმოწერა და თარიღი

სარჩევი

აბსტრაქტი.....	4
შესავალი.....	5
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
1. აპოკატასტასისი – ტერმინის და თეორიის ისტორია.....	9
1.1. ტერმინის განმარტებისათვის.....	9
1.2. აპოკატასტასისი ანტიკურ ფილოსოფიაში.....	11
1.3. აპოკატასტასისი წმინდა წერილსა და ადრეული ეკლესიის მამებთან.....	13
1.4. აპოკატასტასისი კლიმენტი ალექსანდრიელთან.....	17
1.5. ორიგენეს სწავლება აპოკატასტასისის შესახებ.	19
1.6. მსოფლიო და ადგილობრივი კრებები საყოველთაო აღდგინების შესახებ.....	26
1.7. ორიგენიზმისშეფასება.....	28
2. წმ. გრიგოლ ნოსელი და მისი აპოკატასტასისის თეორია.....	30
2.1. წმ. გრიგოლ ნოსელი, ორიგენეს გავლენა მის ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაზე.....	30
2.2. წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლება საყოველთაო აღდგინების შესახებ.....	31
2.3. აპოკატასტასისის „მომხრე“ ეკლესიისმამები.....	40
2.4. გვიანდელი ეკლესიის მამების საწინააღმდეგო მოსაზრებები წმ. გრიგოლ ნოსელის აპოკატასტასისის შესახებ.....	42
2.5. თანამედროვე თეოლოგთა თვალსაზრისები საყოველთაო აღდგინების შესახებ..	45
3. წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა ეფთვიმე მთაწმიდელისეული თარგმანები და მისი თავისებურება	48
3.1. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანებითი მოღვაწეობა, მისი თარგმანის თავისებურებანი.....	48
3.2. წმ. გრიგოლ ნოსელის „დიდი კატექეტიური სიტყვის“ ეფთვიმესეული თარგმანი.....	50
3.3. წმ. გრიგოლ ნოსელის „მამაო ჩვენოს განმარტების“ ეფთვიმესეული თარგმანი.....	57
3.4. წმ. გრიგოლ ნოსელის „მოსეს ცხოვრების“ ეფთვიმესეული თარგმანი.....	61
დასკვნა.....	65
გამოყენებული ლიტერატურა.....	66

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია აპოკატასტასისის თეორია გროგოლ ნოსელის თხზულებებსა და მათ ძველ ქართულ (ეფთვიმე მთაწმიდელისეულ) თარგმანებში. მიმოხილულია აპოკატასტასისის, როგორც ტერმინის, ისე შესაბამისი თეორიის ისტორია, განსაკუთრებით ალექსანდრიელი ღვთისმეტყველის, ორიგენეს აპოკატასტასისის დოქტრინა, მისი ანათემატიზირება მსოფლიო კრებაზე და ა. შ. გავლებულია პარალელები მის და ნოსელისეულ ესქატოლოგიურ სწავლებებს შორის. ამავე ნაშრომში მიმოხილულია ბოლოდროინდელი კვლევები ნოსელის იმ თხზულებათა ძველი ქართული (ეფთვიმე მთაწმიდელისეული) თარგმანებისა, რომლებშიც გადმოცემულია საყოველთაო აღდგინების შესახებ მოძღვრება, ქართული თარგმანის თავისებურებათა აქცენტირებით. კვლევის ფარგლებში წამოიჭრა საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებული ვრცელი პრობლემატიკა.